

## თავი 16

### ზოგადი დებულებანი და გამონაკლისები

მუხლი 16.1: ინფორმაციის გამჟღავნება და კონფიდენციალობა

1. ამ შეთანხმების დებულებებით მხარეს არ მოეთხოვება, წარადგინოს ან დაუშვას ხელმისაწვდომობა საიდუმლო ინფორმაციაზე, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად მიჩნეულია საიდუმლო ინფორმაციად ან რომლის გამჟღავნება ხელს შეუშლიდა კანონის აღსრულებას ან სხვაგვარად დაუპირისპირებოდა საზოგადოებრივ ინტერესებს, ან შელახავდა გარკვეული საჯარო თუ კერძო დაწესებულებების კანონიერ კომერციულ ინტერესებს.
2. თუ ამ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თუ მხარე ამ შეთანხმების შესაბამისად გადასცემს წერილობით ინფორმაციას მეორე მხარეს და განსაზღვრავს ამ ინფორმაციას, როგორც საიდუმლოს, მეორე მხარემ უნდა შეინარჩუნოს ინფორმაციის კონფიდენციალობა. ასეთი ინფორმაცია გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ აღნიშნული მიზნებისათვის და არ უნდა იყოს სხვაგვარად გამჟღავნებული ინფორმაციის მომწოდებელი მხარის კონკრეტული ნებართვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი გამოყენება ან გამჟღავნება აუცილებელია სამართლებრივი ან კონსტიტუციური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ან სასამართლო საქმეთწარმოების მიზნით.

მუხლი 16.2: ზოგადი გამონაკლისები

1. მეორე (საქონლით ვაჭრობა), მესამე (წარმოშობის წესები და განხორციელების პროცედურები), მეოთხე (საბაჟო პროცედურები და ვაჭრობის ხელშეწყობა), მეხუთე (სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები), მეექვსე (ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში), მეშვიდე (ვაჭრობის დაცვის საშუალებები) თავების და აღნიშნული თავების დანართების მიზნებისთვის, GATT 1994-ის XX მუხლი, მათ შორის მისი განმარტებითი შენიშვნები, ინკორპორირებულია და წარმოადგენს ამ შეთანხმების ნაწილს, *mutatis mutandis*.
2. მერვე თავის (მომსახურებით ვაჭრობა) და მისი დანართის მიზნებისთვის, GATS-ის XIV მუხლი, მათ შორის მისი შენიშვნები (სქოლიო), ინკორპორირებულია და წარმოადგენს ამ შეთანხმების ნაწილს, *mutatis mutandis*.

მუხლი 16.3: უსაფრთხოების მიზნით დაშვებული გამონაკლისები

აღნიშნული შეთანხმების მიზნებისთვის, უსაფრთხოებიდან გამომდინარე გამონაკლისების გათვალისწინებით GATT 1994-ის XXI მუხლი და GATS-ის XIVbis მუხლი ინკორპორირებულია და წარმოადგენს ამ შეთანხმების ნაწილს, mutatis mutandis.

#### მუხლი 16.4: დაბეგვრა

1. ამ მუხლის მიზნებისათვის, ტერმინი „საგადასახადო ზომები“ არ მოიცავს ნებისმიერ საბაჟო ან იმპორტის მოსაკრებლებს.
2. თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ეს შეთანხმება არ ვრცელდება საგადასახადო ზომებზე.
3. ეს შეთანხმება მხოლოდ ანიჭებს უფლებებს ან აკისრებს ვალდებულებებს საგადასახადო ზომებთან დაკავშირებით, რომელშიც ასევე მინიჭებულია ან დაკისრებულია შესაბამისი უფლებები ან მოვალეობები GATT 1994-ის III მუხლის შესაბამისად.
4. მე-3 პუნქტის მიუხედავად, ეს შეთანხმება:
  - a) არ ავალდებულებს მხარეს, ამ შეთანხმებაში გამოიყენოს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ნებისმიერი ვალდებულება მხარესთან შეთანხმებული შეღავათის მიმართ, ნებისმიერი საგადასახადო კონვენციის შესაბამისად;<sup>1</sup>
  - b) არ ვრცელდება:
    - i. ნებისმიერი საგადასახადო ზომის შეუსაბამო დებულებაზე, რომელსაც იცავს მხარე ამ შეთანხმების ძალაში შესვლის დღეს
    - ii. ნებისმიერი ასეთი საგადასახადო ზომის გაგრძელებასა ან სწრაფ განახლებაზე,
    - iii. ნებისმიერი ასეთი საგადასახადო ზომის შესწორებაზე იმის გათვალისწინებით, რომ ეს ცვლილება არ შეამცირებს საგადასახადო ზომის ამ შეთანხმებასთან შესაბამისობას, როგორც იგი არსებობდა ამ შესწორებამდე;
  - c) ხელს არ უშლის მხარეს, გამოიყენოს ან ადასრულოს ნებისმიერი საგადასახადო ზომა, რომელიც მიზნად ისახავს სამართლიან ან ეფექტურ დაბეგვრას ან გადასახადების ამოღებას;
  - d) ხელს არ უშლის მხარეს, გამოიყენოს ან შეასრულოს დებულება, რომელიც განსაზღვრავს მიღებას ან გახანგრძლივებულ მიღებას შეღავათისა, რომელიც დაკავშირებულია საპენსიო ტრასტში, საპენსიო ფონდში ან სხვა ორგანიზაციაში გაკეთებულ შენატანებთან ან მათ შემოსავალთან პენსიის დანიშვნის, პენსიით ან მსგავსი შეღავათებით უზრუნველყოფის მიზნით იმის მოთხოვნით, რომ მხარე ასეთ ტრასტზე, ფონდზე ან სხვა ორგანიზაციაზე შეინარჩუნებს უწყვეტ იურისდიქციას, რეგულირების ბერკეტს და ზედამხედველობას.
5. ეს შეთანხმება არ ახდენს რაიმე გავლენას ნებისმიერი საგადასახადო კონვენციით გათვალისწინებულ რომელიმე მხარის უფლებებსა და მოვალეობებზე. საგადასახადო

<sup>1</sup> ამ შეთანხმების მიზნებისათვის, „საგადასახადო კონვენცია“ ნიშნავს კონვენციას ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით ან დაბეგვრის შესახებ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, რომლის მხარეებს წარმოადგენენ ორივე მხარე.

ლონისძიებასთან დაკავშირებით ამ შეთანხმებასა და ნებისმიერ ასეთ საგადასახადო კონვენციას შორის რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში, ამ უკანასკნელს ენიჭება უპირატესობა ამ შეუსაბამობის კუთხით. რაც შეეხება საგადასახადო კონვენციას მხარეთა შორის, ნებისმიერი შეუსაბამობის არსებობის დადგენის მიზნით გამართულ ნებისმიერ კონსულტაციაში მონაწილეობა უნდა მიიღოს თითოეული მხარის კომპეტენტურმა ორგანომ, ამავე საგადასახადო კონვენციის თანახმად.

#### მუხლი 16.5: შეთანხმების რევიზია

მხარეები განახორციელებენ შეთანხმების ზოგად გადახედვას მისი ამოცანების შემდგომი შესრულების მიზნით ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის მანძილზე და შემდგომ მინიმუმ ხუთ წელში ერთხელ, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ. გადახედვა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ლიბერალიზაციის გაღრმავების და ბაზარზე დაშვების შემდგომი გაფართოების განხილვით.

#### მუხლი 16.6: საგადამხდელო ბალანსის უზრუნველყოფის ზომები

1. როდესაც მხარე დგას სერიოზული საგადასახდელო ბალანსის და გარე ფინანსური სირთულეების ან ამასთან დაკავშირებული საშიშროების წინაშე, მას შეუძლია:
  - a) საქონლით ვაჭრობის შემთხვევაში, GATT 1994-ის და WTO-ს შეთანხმების 1A დანართში მოცემული 1994 წლის ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების საგადამხდელო ბალანსის დებულებების განმარტების შესაბამისად, მიიღოს შემზღვეველი საიმპორტო ზომები;
  - b) მომსახურებით ვაჭრობის შემთხვევაში, მიიღოს ან შეინარჩუნოს შეზღუდვები მომსახურებით ვაჭრობაზე, რაზეც აღებული აქვს კონკრეტული ვალდებულებები, მათ შორის გადასახადებსა და ტრანსფერებზე იმ გარიგებებთან მიმართებით, რომლებიც დაკავშირებულია ასეთ ვალდებულებებთან.
2. პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის საფუძველზე მიღებული ან შენარჩუნებული შეზღუდვები:
  - a) უნდა შეესაბამებოდნენ შეთანხმების მუხლებს, რომელიც ეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდს;
  - b) არ უნდა უშვებდნენ მეორე მხარის კომერციული, ფინანსური და ეკონომიკური ინტერესების ზედმეტად დაზიანებას;
  - c) არ უნდა აღემატებოდნენ იმ საჭიროებებს, რაც აუცილებელია გარემოებებთან გასამკლავებლად, როგორც აღწერილია 1-ლ პუნქტში;
  - d) უნდა იყოს დროებითი და მათი დასრულება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, როგორც კი გაუმჯობესდება სიტუაცია, მითითებული 1-ლ პუნქტში; და

- e) უნდა იქნენ გამოყენებული არადისკრიმინაციულ საფუძველზე ისეთნაირად, რომ მეორე მხარეზე, არ გავრცელდეს ნაკლებად ხელსაყრელი მოპყრობა ვიდრე სხვა არაწევრი მხარეზე.
3. შეზღუდვების მოქმედების სფეროს განსაზღვრისას მხარეს შეუძლია პრიორიტეტი მიანიჭოს ეკონომიკურ სექტორებს, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია მისი ეკონომიკური განვითარებისთვის. თუმცა, ასეთი შეზღუდვები არ უნდა იქნას მიღებული ან შენარჩუნებული კონკრეტულ სექტორის დაცვის მიზნით.
  4. ნებისმიერი შეზღუდვა, მიღებული ან შენარჩუნებული მხარის მიერ 1-ლი პუნქტის თანახმად, ან მათში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება დაუყოვნებლივ ეცნობება მეორე მხარეს.
  5. მხარემ, რომელიც დებულობს ან ინარჩუნებს რაიმე შეზღუდვას 1-ლი პუნქტის თანახმად, უნდა დაიწყოს კონსულტაციები მეორე მხარესთან, რათა გადაიხედოს მის მიერ გამოყენებული შეზღუდვები.